

ენაზე, — ისინი დაწერილია როგორც კვადრატული (2QJob; 4QJob), ასევე პალეოებრაული შრიფტით (4Q Paleo Job.), — და აგრეთვე იობის წიგნის არამეული ტექსტი (11QTgJob). 1962 წ. პოლანდიელმა მეცნიერებმა Van der Peolგმა და Van der Vaed-მა გახსნეს იობის თარგუმის გრაგნილი XI გამოქვაბულიდან. პალეოგრაფიულად მას I საუკუნით (ახ. წ.) ათარიღებენ, ენობრივად — II საუკუნით (ძვ. წ.). ხასიათით ტექსტი ეკუთვნის პრემასორეტულ სტადიას. ეს გრაგნილი ნათელს მოჰფენს ბევრ ბნელ ადგილს ამ უძველეს რელიგიურ-ფილოსოფიურ პოეზიაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპული ფილოსოფიური პოეზიის განვითარებაზე. თალმუდური ტრადიციიდან ცნობილია, რომ არსებობდა იობის არამეული თარგუმი, რომლის დამალვა ბრძანა რაბი გამალიელმა (მოციქულთა საქმის მიხედვით, პავლე მოციქულის მასწავლებელია 22:3). იობის წიგნის არამეული თარგუმის გარდა, სამნუსხროდ, ჩვენამდე მოაღწია მცირერიცხოვანმა ფრაგმენტებმა არამეული ენაზე. მათ შორისაა „ლევიტელთა“ წიგნის პატარა ფრაგმენტი (16,12-21; 4QTgLev) და სავსად დიდი რაოდენობა სიტყვა-სიტყვით გადმოტანილი ფრაგმენტებისა „დაბადების“ წიგნიდან. ბერძნული თარგმანებიდან მოაღწია ფრაგმენტებმა „გამოსვლათა“ ტექსტიდან (pap 7QLXX Ex), „ლევიტელთა“ და „რიცხვთა“ (4Q Lxx Lev; pap 4QLxx Nu), აგრეთვე 12 წინასწარმეტყველის წიგნებმა (perg 8 Hev XII gr.), რაც მნიშვნელოვანია სექტუაგინტას ტექსტის შესწავლისათვის.

ყუმრანის ბიბლიურმა ხელნაწერებმა მეცნიერებს მისცა ბიბლიის ტექსტის სხვადასხვა ვერსიები: სექტუაგინტას ებრაული ორიგინალი, პროტოსამარიული და სამარიული, პროტომასორეტული და მასორეტული ახლოს მდგომი, ასევე, გარდამავალი ვერსიები. ამან ბიბლიის ტექსტის რთული პრობლემების, ბიბლიის ტრადიციის სხვადასხვა ტოტის რეკონსტრუქციისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების ახალი პერსპექტივები გახსნა.

მასალა მოამზადა  
ლელა ჭელიძემ

გამოყენებული ლიტერატურა:  
Der Text der Hebräisch  
ებრაული ბიბლიის ტექსტი  
Памятники письменности востока.  
XXXIII, 1  
Тексты Кумрана  
Выпуск 1  
Перевод с древнееврейского и  
арамийского. введение и комментарий  
И. Д. Амусина  
Москва. 1971

**ემანუელ ტომი**

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი, ტექსტოლოგი და ფართო დიაპაზონის მეცნიერი, რომელსაც ეკუთვნის არამარცხ მასორეტული ხელნაწერების, არამედ სექტუაგინტასა და ყუმრანის ხელნაწერთა გამოკვლევები. იგი ყუმრანისტიკაში ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევართაგანია.

ემანუელ ტომის გამოკვლევას, რომელსაც გთავაზობთ დასავლეთის მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ. მათი აზრით, ეს არის უაღრესად კომპეტენტური, ნოვატორული და ბიბლიის ეგზეგეტიკის სტანდარტული ნაწარმოები.



თორას ხელნაწერი

ებრაული წყაროები ბიბლიის ტექსტის ისტორიის შესწავლის საფუძველია, რადგან თარგმანებიც და ტექსტის კრიტიკული ანალიზიც მას ემყარება. ტექსტები იყოფა პროტომასორეტულად და პრესამარიულად. პირველი შუა საუკუნეების მასორეტულს უსწრებდა, ხოლო მეორე სამარიული ხუთწიგნეულის დედანი იყო. მასორეტული ტექსტი ჰქვია ურთიერთმონათესავე ხელნაწერთა ჯგუფს. ამ ხელნაწერებს ბევრი საერთო ელემენტი გააჩნია. ტექსტის საბოლოო ფორმა ადრეულ შუასაუკუნეებში დადგინდა. ეს ხელნაწერები შეიცავს მასორეტულ აპარატს, რომელიც VII-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, როცა ბენ-ამერის გარმა ტიბერიაში დიდ წარმატებებს მიაღწია. მასორეტულიც იყოფა

ზოგად მასორეტულად და ტიბერიულ-მასორეტულად. მეცნიერთა უმრავლესობა, როცა მასორეტულზე საუბრობს, გულისხმობს ამ უკანასკნელს. თვით ტერმინი „მასორეტული“ არაზუსტია, რადგან ის ფიქსირდება არამხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე წყაროში, რომელიც ერთმანეთისაგან მრავალი დეტალით განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ძნელია დადგენა, იყო თუ არა ერთიანი ტექსტი ოდესმე, რომელიც მასორეტულის არქეტიპად ჩაითვლებოდა. მასორეტულის ძირითადი ნაწილი თანხმონიანი ტექსტი, რომელიც, წყაროების მიხედვით, მეორე ტაძრის პერიოდიდან მოდის. ყველა სხვა ელემენტი შუა საუკუნეებში დაემატა. ამ თანხმონიანი ტექსტს ჰქვია პროტომასო-

რეტული. მასორა მასორეტების თაობების ნამუშევარია. მასორეტული ჯგუფი შეიცავს 6000-მდე ხელნაწერს. დაახლოებით 2700 დთარიღებულია, რომელთაგან 6 მიეკუთვნება X საუკუნეს, 8 — XI ს., 27 — XII ს. მათი უმრავლესობა აღმოსავლეთიდანაა. რაც შეეხება ამ თანხმონიან ტექსტს: სექტუაგინტას ებრაული დედანი და ყუმრანის ზოგიერთი ტექსტი უკეთესია, ვიდრე მასორეტული. მას შემდეგ, რაც მასორეტული იუდეველი ხალხის მთავარი ტექსტი გახდა, შემდგომი ცვლილებები მას აღარ განუცდია — აიკრძალა ყოველგვარი დამატება-გამოკლებები. იგი იყო ბაზა ძველი თარგმანების უმრავლესობისა, ესენია: თარგუმი, პეშიტა, სექტუაგინტას რევიზიები (აკვილა, სვიმასოსი, თეოდოტე) და ვულგატა. მასორეტულის ციტირება ხდებოდა რაბინულ ლიტერატურაში და ყუმრანის ტექსტებიც მას ნაწილობრივ შეიცავს. ებრაული თუ ნათარგმნი ტექსტების ჯგუფი, რომელიც მასორეტულ თანხმონიან ტექსტს ეყრდნობა, ბიბლიის სხვა ტექსტ-წყაროებთან შედარებით საკმაოდ დიდია. ეს ფაქტი ხარისხობრივი ფასეულობის შედეგია არ არის, არამედ განპირობებულია სოციალურ-რელიგიური ნიშნებით. ძნელია დადგენა, არსებობდა თუ არა ოდესმე მასორეტულის ერთადერთი უძველესი ტექსტი. ასეთი რომც არსებულებოდა, მისი იდენტიფიცირება-რეკონსტრუქცია უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ცხადია, მასორეტული ჯგუფის სხვადასხვა ტექსტებში ადრე მეტი განსხვავებები იყო.

არსებობდა ხელნაწერებზე მომუშავე ორი სკოლა: აღმოსავლეთისა (ბაბილონი) და დასავლეთის (პალესტინა). არაერთგვაროვნება ამ სკოლების ტექსტებს შორის თანხმონიანების განსხვავებითაც იყო გამოწვეული. ასე წარმოშობილი დაახლოებით 250 დიფერენცია ფიქსირდება: მაგ., „והו“ — „והו“ (იეჰორამ — იორამ). განსხვავებების უმეტესობა Ketib-Qere-ზე მოდის: „וא“ (ადმ. „და მოდის“) — „או“ (დას. „ისინი მოვლენ“), „Q או“ (დას. „და მოდის“). მასორეტული ხელნაწერების უმრავლესობა ტიბერიულია, ანუ დასავლური. როგორც კი მასორეტებმა თანხმონიან ხმონიები დაუმატეს, თანხმონიანი ტექსტი მაშინვე დაფიქსირდა.

რად. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ განხმონიანების სხვადასხვა სისტემით დაფიქსირებულ ხელნაწერებში განსხვავებები თანხმონიანთან მიმართებაში კიდევ უფრო გაიზარდებოდა. ხელნაწერები პალესტინური და ბაბილონური ტრადიციების მიხედვით განსხვავდება. ტიბერიულ ხელნაწერებთან შედარებით, ნაწილობრივ სხვაობს თანხმონიანის შედგენილობაც. მასორეტულ ტექსტზე შეიძლება ვისაუბროთ ადრე შუა საუკუნეებიდან, როცა თანხმონიან ხმონიები, აქცენტები და მასორეტული აღნიშვნები დაემატა. თანხმონიანი ტექსტი რამდენიმე საუკუნე



ნის წინ უკვე არსებობდა, მაგალითად, ყუმრანის ტექსტები (ქრ.-მდე III საუკუნიდან ქრ. შ. II საუკუნემდე). პროტომასორეტული თანხმონიანი ტექსტი შუა საუკუნეების მასორეტულის იდენტურია, თუმცა მთელი რიგი სხვაობა არის მცირე დეტალებში. მასორეტულის წარმოშობას რაც შეეხება, ეს, ძირითადად, ვარაუდებზე იქნება აგებული, რადგან რაიმე ერთი, კონკრეტული მტკიცება არ გვაქვს. ასე რომ, ანალიზი უნდა დაემყაროს ტექსტის თავისებურებებს. მასორეტული ტექსტი უნდა იყოს იუდაიზმის სულიერი და ავტორიტეტული ცენტრიდან, შესაძლოა

ტაძრის წრეებიდან. ამ ტექსტს, უმთავრესად, ტაძრის მწერლები იცავდნენ. მასორეტული ჯგუფის ხელნაწერები მანც სხვაობდნენ, რის გამოც ერთგვაროვნებისა და ნორმირების დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ტექსტში განსხვავებების საკითხის გადაწყვეტა არ ხერხდებოდა და ერთიანობის სურვილი აბსტრაქტულ იდეად რჩებოდა. მასორეტული თანხმონიანი ტექსტი საფუძველს გვაძლევს განვასხვავოთ სამი პერიოდი:


**პირველი პერიოდი** შინაგანი დიფერენციაციით ხასიათდება. იგი ემთხვევა მეორე ტაძრის დანგრევის ბოლოს. ამ პერიოდს მიეკუთვნება ებრაული ტექსტები ყუმრანიდან, მასადან 11 ტექსტი და სხვა ძველი თარგმანები. ამ დროის ხელნაწერებში არ არის ამ დიფერენციაციის მოწმობა, მაგრამ მასორეტული პარალელური ტექსტების შედარებისას დგინდება, რომ განსხვავებები ადრეულ სტადიაშივე უნდა ყოფილიყო. მასორეტული ჯგუფის ამ პირველ პერიოდზე მოდის ყველაზე მეტი განსხვავება როგორც შინაარსის, ისე ორთოგრაფიის თვალსაზრისით. შინაარსობრივი სხვაობა ერთ სიტყვამდე ან ფრაზამდე შემცირებული. 1009 წლის ცნობილი ხელნაწერი (L.B19A) ძალიან ჰგავს შუა საუკუნეებისა და, აგრეთვე, სხვა (ყუმრანი, მასადა, თარგუმი, პეშიტა) წყაროებს. შეიძლება ითქვას, რომ 1000 წლის განმავლობაში მასორეტული თანხმონიანი ტექსტი ოდნავ თუ შეიცვალა, მაგ., L-სა და Q Jes-ს ტაბულა ასეთია: ორთოგრაფია 107; waw-copulativum — ის დამატება 16; waw-copulativum — ის გამოტოვება — 13; არტიკლი (დამატება-გამოკლება) — 4; სხვადასხვა თანხმონიანი — 10; ასოების დაკლება — 5; განსხვავებები რიცხვებში — 14, ნაცვალსახელების სხვადასხვაობა — 6; სხვადასხვა გრამატიკული ფორმები — 24; სხვადასხვა წინდებულებები — 9; სხვადასხვა სიტყვები — 11; სიტყვების გამოტოვება — 5; სიტყვების დამატება — 6; სხვადასხვა სიტყვათწყობა — 4. ტაძარს ჰყავდა პროფესიონალი „magihim“ ანუ „კორექტორები“, „რევიზორები“, რომელთა მოვალეობა იყო ტექსტის დაცვა წერითი შეცდომებისაგან. განსაკუთრებული მზრუნველობა ტექსტის მიმართ ჩანს რაბი იშმაილის სიტყვე-

ბში: "ჩემო შეილო, იყავი ფრთხილად, რადგან შენი სამუშაო ცის სამუშაოა. ერთი ასოც რომ გამოტოვო ან დაუმატო, მთელი ქვეყანა დაინგრევა".

**გეორგი პერიოდი** – ეს არის მეორე ტაძრის დანგრევის შემდგომი ხანა, ქრ. შ. VIII საუკუნემდე. ამ პერიოდის ტექსტობრივი წყაროები უფრო მწირია, კერძოდ, ეს არის იუდეის უდაბნოს ზოგიერთი ფრაგმენტი და გენიცას (კაირო) ფრაგმენტები. XIX საუკუნის ბოლოს გენიცაში იპოვეს 200 000 ფრაგმენტი. მათი უმრავლესობა არ არის გამოქვეყნებული. აქ ინახებოდა არაერთი ტექსტული ტექსტები. მათი განადგურების მიზნით, შემდეგ საცავი ამოიქოლა და მალე დაიწყო მისი დაკრძალვა. შესაძლოა ამ პერიოდის უკვე აღარ ვითარდება ტექსტზე მომუშავე ჯგუფები, ან იუდაიზმს გამოეყენნენ სამარიელები და ქრისტიანები.


**მესამე პერიოდი** – ეს არის VIII საუკუნიდან შუა საუკუნეებამდე. იგი ხასიათდება ერთიანი ტექსტის შექმნით. მასორეტული ტექსტები თავისი მასორეტული აპარატით ყალიბდება. უძველესი მასორეტული ხელნაწერები IX საუკუნეს მიეკუთვნება. განსხვავება ტექსტებს შორის მინიმალურია.

איהכח . מנפנ  
מאהרר . אנהויהו  
אתוןאורח . מכח



ישא  
[אח] . ויהי . נה . הא . ערות  
[שמרת] . את . כל . חקתי . ואת . כל .  
אתכם . הארץ . אשר . אני .  
לחיי  
[ה] .

ישרא  
כני .  
אשר .  
[רר] . את . אי . אשר .  
[א] . [ר] . [ש] .  
[א] . [א] . [א] .



„לევיתელთა“, ფრაგმენტი, ძველი ებრაული შრიფტით

# გახმოვანება

**გახმოვანების** სისტემა ბიბლიის ტექსტის ტრადიციისთვის სრულიად უცხო იყო. შუა საუკუნეებში სამარიელებმა სცადეს გახმოვანების გარკვეული სისტემატიზაცია რამდენიმე ტექსტში, მაგრამ სამარიული ხუთწიგნეულის ძირითადი ხელნაწერები გაუხმოვანებელია. ამავე დროს ებრაული ბიბლიის შედარება სხვა ტექსტების ტრადიციასთან, გახმოვანების თვალსაზრისით, ნაკლებად არსებითია, რადგან ქრ. შ. I საუკუნეში სხვა ტექსტების უმრავლესობა აქტიურად აღარ გამოიყენებოდა, რადგან ის წიგნები, სადაც ესა თუ ის ტექსტები ინახებოდა, აღარ არსებობდა. გახმოვანების გვიანდელ წარმოშობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იუდეის უდაბნოს ტრადიციას სჯეროდა გახმოვანების ღვთიური წარმომავლობა. მხოლოდ XVI საუკუნეში სცადეს სერიოზულად ამ აზრის უარყოფა. გახმოვანების მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ კითხვის ზეპირი წესი შეენარჩუნებინათ და მოესპოთ ეჭვი, თუ ტექსტი კითხვისას სხვა ინტერპრეტაციას წარმოშობდა. ის იქცა მასორეტულის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. შუა საუკუნეების ებრაული ხელნაწერები რამდენადმე ერთგვაროვანია, თუმცა განსხვავებებიც ყურადღებას მართავს, ხმოვნები გაცილებით ადრე, ქრ. შ. 500-700 წლებში გამოიგონეს, მაგრამ სისტემატად გვიან ჩამოყალიბდა. მასორეტულში სამი სისტემა განვითარდა: ტიბე-

რიული (ჩრდ. პალესტინური), პალესტინური (სამხრ. პალესტინური) და ბაბილონური. **ტიბერიული სისტემა** მალევე იქცა წამყვანად იუდეური წიგნების უმრავლესობისთვის, ისე რომ XIX საუკუნემდე სხვა სისტემები ევროპული სასწავლო ცენტრებისთვის უცნობიც კი იყო, სანამ იემენის და გენიცას (კაირო) ხელნაწერები არ იქნა აღმოჩენილი და ევროპაში წაღებული. იემენელებს ჰქონდათ **ბაბილონური სისტემა**. ეს სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება გახმოვანების გრაფიკული მოხაზულობით. ტიბერიულ სისტემაში ისინი თანხმოვნების ქვევით აღინიშნებოდა, ხოლო პალესტინურსა და ბაბილონურში – ზევით. განსხვავება სისტემებს შორის ეხება, ასევე, ლინგვისტიკასაც და ხმოვნის ფონეტიკურ ხარისხსაც. ტიბერიული ნიშნები ფათახ (-) და სელოლ (••) ბაბილონურ სისტემაშიც ასევე გამოიყენება, ხოლო ხელნაწერებში პალესტინური გახმოვანებით არეულია კამეც (T) და ფათახ (-), ასევე ცერე (••) და სელოლ (••). ტიბერიული სისტემა – ეს არის აარონ ბენ-აშერის სისტემა. პარალელურად არსებობდა ბენ-ნაფთალის სისტემა. ისინი მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავდებოდნენ კიდევ. ბენ-აშერი იმდენად ავტორიტეტული პიროვნება იყო, რომ მის ტექსტს მეორე რაბინულ ბიბლიასაც კი უწოდებდნენ. ბევრი შემდგომი გამოცემა მასზე იყო დაფუძნებული. ალექსის კოდექსი (925 წ.) ბენ-აშერის

მიერ არის დაწერილი ხმოვნებით და აქცენტებით. ებრაული უნივერსიტეტის ბიბლია (HUB) სწორედ მას ეყრდნობა. შუა საუკუნეებში კი სტანდარტულ ტექსტად იყო მიღებული. ეს ხელნაწერი, თვით ბენ-აშერის ხელით ჩასწორებული (იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე დეტალებზეც კი), საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა იუდეურ წრეში, ალექსოში (სირია). 1948 წელს ხანძარში დაიწვა, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე წიგნი.

Kodex Petropolitanus Leningradensis (LB19A) 1009 წლისაა. ინახება პეტერბურგში, ისიც ბენ-აშერის ხელით იქნა შესწორებული და ამდენად, ალექსის კოდექსს ვოკალიზაციით უახლოვდება. იგი ერთადერთი სრული ხელნაწერია, ამიტომ Biblia Hebraica (BH)-ს მეორე გამოცემა მას ეყრდნობა.

**სოფრიმიზმა\*** გადაწვეტეს, რომ არანაირი ცვლილება აღარ შეეძინათ მასორეტულ ტექსტში, მცირე შეცდომებითაც რომ გადაეწერათ, იქნებოდა ეს ორიოვრადი თუ სხვა. სანამ მასორეტული ტექსტი დაიფიქსირდა მუხლებად და შუა საუკუნეებში – თავებად, იყო რამდენიმე ტიპი პარაგრაფებისა, რომლებიც ტექსტს ცალკეულ ნაწილებად ყოფდა. მასორეტულის დაყოფა ეყრდნობა პროტო-მასორეტულის დაყოფას. როგორც ყუ-მრანის აღმოჩენებმა აჩვენა, ტექსტის დაყოფას მზანმიძრული ემბეგეტური საფუძველი ჰქონდა. ასეთი დაყოფა-გამოყოფები ემთხვეოდა ღვთის სიტყვის დაწვებას და ა. შ. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ემბეგეტურ სუბიექტივში. მასორეტული ტექსტის დაახლოებით 80%, დაყოფის თვალსაზრისით, ემთხვევა ყუმრანის ტექსტებს. მუხლების ნუმერაცია, ასევე, თავებად დაყოფა, არ არის იუდეური ტრადიცია, არამედ ეულგატადან მოდის. დაახლოებით XIII საუკუნეში პირველად ლანგტონმა დაყო პარაბული ხელნაწერი. ტექსტის დადგენისას მოქმედებდნენ საკმაოდ კონსერვატიულად და აკეთებდნენ შემდეგ აღნიშვნებს: **შებრუნებული** ( ( ) ) – როცა რაიმე ნაწილი უჩვეულო ადგილზე იდგა, ( ) იწერებოდა შებრუნებით, რომ ის ვინმეს შეცდომით ტექსტისთვის არ მიეთვალა. გვაქვს 9 ასეთი შემთხვევა. პაულ კალე ამ ა-ში ხედავს შემოკლებულ სიტყვას: **რუა** (პუნქტირული): მაგ., რიცხ. 10,35-ის წინ და 10, 36-ის შემდეგ.

**PUNCTA EXTRAORDINARIA** – როცა სიტყვას არასწორად ან ზედმეტად ჩათვლიდნენ ამა თუ იმ ადგილზე.

თავზე წერტილებს აწერდნენ, ე.ი. ეს წერტილები ხაზის გადასმის ტოლფასი იყო. მაგ., II სჯ. 29,28: სიტყვებს "წენთვის და ჩვენი შეილებისთვის" თავზე წერტილები აქვს. თუ რატომ, ამაზე ვზრამ უპასუხა: "როცა ელია მოვა და მკითხავს მე: რატომ დაწერე შენ ეს? მე მას ვეტყვი: ამიტომაც დაუვსვი ამ ადგილს წერტილები. ხოლო თუ მეტყვის: შენ ეს კარგად დაწერე, მაშინ მეც მოვაშორებ ამ სიტყვებს წერტილებს".

როცა სხვადასხვა ხელნაწერების **Puncta extraordinaria** ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ ვსაუბრობთ მასორეტული ჯგუფის ერთიანობაზე, ტექსტის კვლევისას კი, დელაგარდეს აზრით, ეს შეიძლება გამოდგეს ხელნაწერების ერთი წყაროდან მომდინარეობის დასამტკიცებლად.

**KETIB და QERE\*\*** – ზოგჯერ იწერებოდა ერთი და იეთხებოდა სხვა. დაწერილის შეცვლა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ წაითხება, გარკვეული მიზეზების გამო, სხვაგვარად ხდებოდა. მაგ., იწერებოდა **ווא**, იეთხებოდა **ווא**. Q-ს თანხმოვნები ნაპირზე იწერებოდა, ხოლო ხმოვნები – K-ის ქვეშ. ამ Ketib-Qere-ს რიცხვი 1300-ზე მეტია.

**TIQQUNESOPHERIM** – გაუმჯობესება გადამწერის მიერ. ასეთ შემთხვევათა რიცხვი დაახლოებით 18-ია. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ღმერთთან დაკავშირებული უხერხულობის თავიდან აცილება უნდოდათ. მაგ., დაბ. 18,28-ში იყო: "აჰჰე იდგა კვლავ აბრაამის წინაშე", რაც სწორია, მაგრამ ვინმეს წინაშე დგომა შეიძლება ნიშნავდეს მის მსახურებას, ანუ იმისა, ვის წინაშეც დგას. მაგ., დაბ. 41,46: "30 წლის იოსებ იდგა ფარაონის წინაშე". ამ უხერხულობის გამო წყობა შეიცვალა.


**ITTURE SOPHERIM** – გამოტოვება გადამწერის მიერ. ბაბილონურ თალმუდში დასახელებულია სიტყვებში 1-ს გამოტოვების ხუთი შემთხვევა: ოთხი –

\***სოფრიმიზმი** – ტექსტის გადამწერები, რომლებსაც უნდა დაეთვალათ ყოველი ასო. სიტყვა „სოფრიმიზმი“ ნიშნავს დათვლას.

\*\* **Ketib-Qere** (წერა-კითხვა) – ზოგჯერ ტექსტში ეწერა ერთი და უნდა წაკითხულიყო სხვა. თუ სიტყვას თავზე აღნიშნა ქონდა (K.Q). მკითხველს ეყრდნობა უნდა მიექცას მასორეტული აპარატისთვის და წაკითხოს ის, რაც გარეშე იყო ამ აპარატში და არა ის, რაც ეწერა.

რוא-თან (დაბ. 18,5; 24,55; რიცხ. 31,2; ფს. 68,26) და ერთი – **ווא**-თან (ფს. 36,7), ასევე 7 ადგილი, სადაც გარკვეული სიტყვები უნდა წაითხულიყო, თუმცა ტექსტში არ იყო, და 5 ადგილი, სადაც ეწერა და არ იეთხებოდა (K.Q).

**SEBIRIM** (ფიქრი) – დაახლოებით 350 შემთხვევაა, როცა სიტყვა დგას უჩვეულო ფორმით ან უჩვეულო შინაარსით. მას ნაპირზე მიწერილი აქვს ნორმალური ფორმა თუ მოსალოდნელი



ალექსის კოდექსი

სიტყვა და აღნიშნულია **ווא**-ით. მაგ., დაბ. 19,8: **ווא**-ს უწერია **ווא**; დაბ. 49,13: **ווא**-ს მიწერილი აქვს **ווא**; დაბ. 19,23: **ווא** მამრობითის ნაცვლად მდებარეობითი – **ווא** და ა. შ.

**დაპილული ასოები** – არის სიტყვები, სადაც ასო ზევით წერია, დაყოფილია. ასეთი სულ ოთხი სიტყვაა: **ווא** (მანასე). ხოლო თუ **ווא**-ს გარეშე წაეკითხათ, იქნება – **ווא** (მოსე). ამიტომ სეპტუაგინტასა და ეულგატაში ხდება აღრევა. დანარჩენ შემთხვევებში გუტურალი **ווא** არის დამატებული, სადაც შეცდომით აკლდა: ფს. 80,14: **ווא**; იობ. 38,13: **ווא**.

შეინიშნებოდა ასეთი რამ: გადამწე-

რები ჯერ ნაპირზე აკეთებდნენ კორექტურას, მოგვიანებით მას შესაძლო ვარიანტად მიიჩნეოდნენ და როცა საეკვო ხდებოდა რამე, იგი უკვე ობლიგატორული ხდებოდა. მას ხშირად, როგორც კორექტურას, ისე უყურებდნენ. იყო შემთხვევები, როცა ტექსტში რაიმე არავითარ გამოთქმის გამო იწერებოდა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იკითხებოდა სხვაგვარად. მაგ., II სჯ. 28,30: *наша* – “*ის ისიამოვნებს მასთან*” (K), და *наша* – “*ის დაწვება მასთან*” (Q). ტექსტიდან ამოიწერებოდა ამგვარი გაუმჯობესების ყველა შემთხვევა. ასეთი კორექტურები ყოველთვის არ იყო სწორი ან ლოგიკური. ზოგი ჩასწორება დღეს ჩვენთვის უცნობია.

**მასპირა** – ეს არის აპარატი მითითებებით, როგორ უნდა იწერებოდეს და იკითხებოდეს ბიბლიის ტექსტი. ეს აპარატი ვითარდებოდა მასორეტების თაობებში და იწერებოდა ტექსტის ნაპირებზე, ირგვლივ. მისი მიზანი იყო ტექსტის სანდობა. ტრადიციის მიხედვით, მასორა დასაბამს იღებს ეზრასგან, რომელიც “გამოგზავნილ მწერელად” იწოდებოდა (იუდა 1:7, ეზრ. 7,6), გადასწერებისგან. ისინი სოფერებივით იწოდებოდნენ, რადგან მათ ყველა სიტყვა უნდა დაეთვალიათ. მათი სამუშაო მასორეტებმა გააგრძელეს. ჩვენთვის უცნობია, ვინ იდგა ამ ორი ჯგუფის უკან. მასორეტები კონცენტრირებული იყვნენ მართლწერაზე, რაც გადამწერებისთვის მუდამ პრობლემური იყო. ყალიბდებოდა მართლწერის წესი. რაც არ ემორჩილებოდა ამ წესს, ის დეფექტურად აღირიცხებოდა. მაგ., იყო სიტყვების ჯგუფი (זאב, נחש), რომლებიც 1-თი ბოლოდებოდა, და ეს წესად იქცა. გამოაკლისად და დეფექტურად ითვლებოდა შემთხვევები, როცა ასეთი ტიპის სიტყვები სხვაგვარად იწერებოდა, მაგ., זאב.

**მასპირას** აპარატი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: Masora parva – როცა მითითებების სისტემა ტექსტის გვერდებზე იწერებოდა და Masora magna – როცა ისინი ზევით ან ქვევით იწერებოდა. ტექსტის გვერდზე ბევრ ხელნაწერს თავში ან ბოლოში ერთგვარად სხვადასხვა მასორეტული ფურცლები. მაგ., “დაბადების” ბოლოში წერია: “წიგნის მუხლების რაოდენობაა 1534.”

**სხვადასხვა** აზრია ტერმინ “მასორას” შესახებაც. იგი არამეული სიტყვაა და ნიშნავს დათვლას. ჯერ კიდევ გადამწერების ხანებში იყენებდნენ მასორეტებს და მათი მითითებებით იწერებოდა ტექსტი. მასორეტების მიხედვით, მასორა არის მითითებები, რომლებიც უნდა იყოს ტექსტში, რათა მასორეტი სწორად იწეროს ტექსტი. მასორეტების მიხედვით, მასორა არის მითითებები, რომლებიც უნდა იყოს ტექსტში, რათა მასორეტი სწორად იწეროს ტექსტი.

რები ჯერ ნაპირზე აკეთებდნენ კორექტურას, მოგვიანებით მას შესაძლო ვარიანტად მიიჩნეოდნენ და როცა საეკვო ხდებოდა რამე, იგი უკვე ობლიგატორული ხდებოდა. მას ხშირად, როგორც კორექტურას, ისე უყურებდნენ. იყო შემთხვევები, როცა ტექსტში რაიმე არავითარ გამოთქმის გამო იწერებოდა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იკითხებოდა სხვაგვარად. მაგ., II სჯ. 28,30: *наша* – “*ის ისიამოვნებს მასთან*” (K), და *наша* – “*ის დაწვება მასთან*” (Q). ტექსტიდან ამოიწერებოდა ამგვარი გაუმჯობესების ყველა შემთხვევა. ასეთი კორექტურები ყოველთვის არ იყო სწორი ან ლოგიკური. ზოგი ჩასწორება დღეს ჩვენთვის უცნობია.

**მასპირა** – ეს არის აპარატი მითითებებით, როგორ უნდა იწერებოდეს და იკითხებოდეს ბიბლიის ტექსტი. ეს აპარატი ვითარდებოდა მასორეტების თაობებში და იწერებოდა ტექსტის ნაპირებზე, ირგვლივ. მისი მიზანი იყო ტექსტის სანდობა. ტრადიციის მიხედვით, მასორა დასაბამს იღებს ეზრასგან, რომელიც “გამოგზავნილ მწერელად” იწოდებოდა (იუდა 1:7, ეზრ. 7,6), გადასწერებისგან. ისინი სოფერებივით იწოდებოდნენ, რადგან მათ ყველა სიტყვა უნდა დაეთვალიათ. მათი სამუშაო მასორეტებმა გააგრძელეს. ჩვენთვის უცნობია, ვინ იდგა ამ ორი ჯგუფის უკან. მასორეტები კონცენტრირებული იყვნენ მართლწერაზე, რაც გადამწერებისთვის მუდამ პრობლემური იყო. ყალიბდებოდა მართლწერის წესი. რაც არ ემორჩილებოდა ამ წესს, ის დეფექტურად აღირიცხებოდა. მაგ., იყო სიტყვების ჯგუფი (זאב, נחש), რომლებიც 1-თი ბოლოდებოდა, და ეს წესად იქცა. გამოაკლისად და დეფექტურად ითვლებოდა შემთხვევები, როცა ასეთი ტიპის სიტყვები სხვაგვარად იწერებოდა, მაგ., זאב.

**მასპირას** აპარატი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: Masora parva – როცა მითითებების სისტემა ტექსტის გვერდებზე იწერებოდა და Masora magna – როცა ისინი ზევით ან ქვევით იწერებოდა. ტექსტის გვერდზე ბევრ ხელნაწერს თავში ან ბოლოში ერთგვარად სხვადასხვა მასორეტული ფურცლები. მაგ., “დაბადების” ბოლოში წერია: “წიგნის მუხლების რაოდენობაა 1534.”

**მასორეტული** აპარატი თანდათან ისე ვითარდებოდა და მრავლდებოდა, რომ მხოლოდ ტექსტის ნაპირზე აღარ იწერებოდა, არამედ იყრებოდა ტომებად და წიგნებად, სადაც ბიბლიის ტექსტზე დეტალური დაკვირვება იყო მოცემული. პირველ რიგში, ეს დაკვირვებები ეხებოდა მართლწერას. ითვლიდნენ, თუ რამდენჯერ არის ესა თუ ის სიტყვა ნახმარი და ა. შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ აქაც სურათი ბოლომდე ერთნაირი არ არის – ერთი და იგივე ადგილის ფარგლებში ეხვდებით არაორექტულობასა და სხვაობებს. კერძოდ, თუ რომელიმე სიტყვას უკეთებენ კომენტარს, სხვა შემთხვევაში იგივე პოზიციაში მყოფ სიტყვას უყურადღებოდ ტოვებენ. მაგ.,

რები ჯერ ნაპირზე აკეთებდნენ კორექტურას, მოგვიანებით მას შესაძლო ვარიანტად მიიჩნეოდნენ და როცა საეკვო ხდებოდა რამე, იგი უკვე ობლიგატორული ხდებოდა. მას ხშირად, როგორც კორექტურას, ისე უყურებდნენ. იყო შემთხვევები, როცა ტექსტში რაიმე არავითარ გამოთქმის გამო იწერებოდა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იკითხებოდა სხვაგვარად. მაგ., II სჯ. 28,30: *наша* – “*ის ისიამოვნებს მასთან*” (K), და *наша* – “*ის დაწვება მასთან*” (Q). ტექსტიდან ამოიწერებოდა ამგვარი გაუმჯობესების ყველა შემთხვევა. ასეთი კორექტურები ყოველთვის არ იყო სწორი ან ლოგიკური. ზოგი ჩასწორება დღეს ჩვენთვის უცნობია.

**მასპირა** – ეს არის აპარატი მითითებებით, როგორ უნდა იწერებოდეს და იკითხებოდეს ბიბლიის ტექსტი. ეს აპარატი ვითარდებოდა მასორეტების თაობებში და იწერებოდა ტექსტის ნაპირებზე, ირგვლივ. მისი მიზანი იყო ტექსტის სანდობა. ტრადიციის მიხედვით, მასორა დასაბამს იღებს ეზრასგან, რომელიც “გამოგზავნილ მწერელად” იწოდებოდა (იუდა 1:7, ეზრ. 7,6), გადასწერებისგან. ისინი სოფერებივით იწოდებოდნენ, რადგან მათ ყველა სიტყვა უნდა დაეთვალიათ. მათი სამუშაო მასორეტებმა გააგრძელეს. ჩვენთვის უცნობია, ვინ იდგა ამ ორი ჯგუფის უკან. მასორეტები კონცენტრირებული იყვნენ მართლწერაზე, რაც გადამწერებისთვის მუდამ პრობლემური იყო. ყალიბდებოდა მართლწერის წესი. რაც არ ემორჩილებოდა ამ წესს, ის დეფექტურად აღირიცხებოდა. მაგ., იყო სიტყვების ჯგუფი (זאב, נחש), რომლებიც 1-თი ბოლოდებოდა, და ეს წესად იქცა. გამოაკლისად და დეფექტურად ითვლებოდა შემთხვევები, როცა ასეთი ტიპის სიტყვები სხვაგვარად იწერებოდა, მაგ., זאב.

**მასპირას** აპარატი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: Masora parva – როცა მითითებების სისტემა ტექსტის გვერდებზე იწერებოდა და Masora magna – როცა ისინი ზევით ან ქვევით იწერებოდა. ტექსტის გვერდზე ბევრ ხელნაწერს თავში ან ბოლოში ერთგვარად სხვადასხვა მასორეტული ფურცლები. მაგ., “დაბადების” ბოლოში წერია: “წიგნის მუხლების რაოდენობაა 1534.”


**მასორეტული** აპარატი თანდათან ისე ვითარდებოდა და მრავლდებოდა, რომ მხოლოდ ტექსტის ნაპირზე აღარ იწერებოდა, არამედ იყრებოდა ტომებად და წიგნებად, სადაც ბიბლიის ტექსტზე დეტალური დაკვირვება იყო მოცემული. პირველ რიგში, ეს დაკვირვებები ეხებოდა მართლწერას. ითვლიდნენ, თუ რამდენჯერ არის ესა თუ ის სიტყვა ნახმარი და ა. შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ აქაც სურათი ბოლომდე ერთნაირი არ არის – ერთი და იგივე ადგილის ფარგლებში ეხვდებით არაორექტულობასა და სხვაობებს. კერძოდ, თუ რომელიმე სიტყვას უკეთებენ კომენტარს, სხვა შემთხვევაში იგივე პოზიციაში მყოფ სიტყვას უყურადღებოდ ტოვებენ. მაგ.,

**გერმანულიდან თარგმნა ლელა ჭაქალიძემ**

**შენიშვნა:** გამოქვეყნებულ სტატიებში მითხველი შენიშვნა არაერთს ულოვენებს დათარიღებაში, ტერმინებში, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ რთული და დღემდე საკამათოა ბიბლიის ხელნაწერთა ისტორია, როდესაც ამ საკითხების კვლევა ხდება ეკლესიური გადმოცემის გათვალისწინების გარეშე.

**პროტოპრესპიტარი გიორგი:**

**ძველი ალექსის წიგნების ქრისტოლოგიური გაგებისათვის**



ის იყო მეორე ევროპული, მართლმადიდებლურ-დასავლური ეგზეგეტიკური კონფერენცია, რომლის თემა იყო „ძველი ალექსა, როგორც ქრისტიანული ბიბლია“ ანუ „ძველი ალექსის წიგნების ქრისტოლოგიური გაგებისათვის“, რადგანაც ძველი ალექსის წიგნების სხვა გაგებაც არსებობს, ვთქვათ, იუდაისტური, ინდუისტურ-ბუდიისტური, სექტანტური და სხვა. მონვეულნი იყვნენ ბიბლიოლოგები ევროპიდან და ამერიკიდან. ეს იყო ინტერკონფესიონალური კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მართლმადიდებლები, ისე კათოლიკები, ლუთერანები, ძველი კათოლიკები, ბაპტი-სტები.

სექტემბერში ბულგარეთში, რილას მონასტერში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ძველი ალექსის წიგნების ქრისტოლოგიურ გაგებას ეძღვნებოდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა პროტოპრესპიტარი **გიორგი ბაჩრაძე**. ვთავაზობთ შთაბეჭდილებებს ამ კონფერენციის მუშაობის შესახებ.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პროტესტანტული დენომინაციების წარმომადგენლები ეკლესიის წმინდა მამების ავტორიტეტს დიდ პატივს მიაგებდნენ და ბიბლიის განმარტებისას ხშირად წმ. მამებისეულ განმარტებებს მისდევდნენ. ისინი, რასაკვირველია, არ გამოირჩევიან თავისებურ, თანამედროვე განმარტებებსაც, მაგრამ მათ ესმით, რომ ეს თანამედროვე განმარტება არ შეიძლება იყოს წმ. მამებისეული განმარტებების სანინააღმდეგო, მათთან დაპირისპირებული. ეს გარკვეულად საგონივრებელი ნაბიჯია პროტესტანტულ ცნობიერებაში, პროტესტანტ მეცნიერთა შორის. ეს ხარისხობრივი ცვლილება მათ ბიბლიის მართლმადიდებლურ გაგებასთან აახლოებს.

კონფერენციის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეგზეგეტიკურ ტრადიციაში არსებული განსხვავებების გარკვევა.

კონფერენციის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეგზეგეტიკურ ტრადიციაში არსებული განსხვავებების გარკვევა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პროტესტანტული დენომინაციების წარმომადგენლები ეკლესიის წმინდა მამების ავტორიტეტს დიდ პატივს მიაგებდნენ და ბიბლიის განმარტებისას ხშირად წმ. მამებისეულ განმარტებებს მისდევდნენ. ისინი, რასაკვირველია, არ გამოირჩევიან თავისებურ, თანამედროვე განმარტებებსაც, მაგრამ მათ ესმით, რომ ეს თანამედროვე განმარტება არ შეიძლება იყოს წმ. მამებისეული განმარტებების სანინააღმდეგო, მათთან დაპირისპირებული. ეს გარკვეულად საგონივრებელი ნაბიჯია პროტესტანტულ ცნობიერებაში, პროტესტანტ მეცნიერთა შორის. ეს ხარისხობრივი ცვლილება მათ ბიბლიის მართლმადიდებლურ გაგებასთან აახლოებს.

რაც შეეხება ახალ ქართულ თარგმანს, მისი აუცილებლობა ა. ხარანაულის მიერ მოყვანილ მაგალითზეც დასტურდება: „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვს/იტყუნ“. „ნამეტნავი“ დღეს ცნობიერდება, როგორც „ზედმეტი“ (იხ.: ლექსიკონი), ხოლო ძველად იგი ნიშნავდა: „რითაც სავსეა გული“, ასევე „იტყვს“ ძველ ქართულში არის ანმოს ფორმა, მაგრამ დღეს აღიქმება მომავლის გაგებით, თანამედროვე ქართულში კი იგივე ზმნა ანმოსში იქნება „ამბობს“. ასე რომ, მოყვანილი გამოთქმის შინაარსს ახალი თარგმანი დროის კატეგორიის გათვალისწინებით სწორად გადმოსცემს, ხოლო ა. ხარანაულის მოსაზრებით, გაუგებარი თუ რჩება რამე, ეს იმიტომ, რომ გამოთქმა კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. მკითხველს შეუძლია, თვითონ დარწმუნდეს, თუ რამდენად გასაგებია ეს გამოთქმა კონტექსტში წაკითხვისას. საერთოდ, წერილის ბოლო ნაწილში ჭარბად არის დაუსაბუთებელი განცხადებები. კერძოდ, იმ სახის თარგმანზე, რომელიც „მეტ ანგარიშს უწევს მეგვიდრობითობას, ეყრდნობა ძველი მთარგმნელის მეთოდს, მისეულ ეგზეგეტიკას და ზოგ შემთხვევაში უცვლელადაც გადმოაქვს ძველი ტექსტი“, ავტორი წერს, რომ „ასეთი თარგმანი... ველარ ასრულებს თავის თავდაპირველ მიზანს – იყოს გასაგები თანამედროვე მკითხველისათვის“. ეს ხომ მკითხველის გადასაწყვეტია და არა ა. ხარანაულისა, რომელსაც ძველიც კარგად ესმის და ახალიც. გადახრამ მარჯვნივ ისე გაიტაცა ავტორი, რომ თანამედროვე მკითხველს რჩევას აძლევს წმიდა წერილის გაგებისათვის „წმიდა მამათა კომენტარებს გაეცნოს“, და ავინყდება, რომ ეს კომენტარებიც ძველქართულად არის და ალტერნატიული გამოსავალი რიგითი ქართველისათვის, ისევე თანამედროვე რუსულ ენაზე წაკითხვას. ამრიგად, ქართველი მკითხველი რჩება, ერთი მხრივ, პროტესტანტების და სექტანტების მიერ გავრცელებული თანამედროვე ქართული თარგმანების, და მეორე მხრივ, თანამედროვე რუსული თარგმანების ამარა. ხოლო ეკლესიის წიაღში მცდელობა, მისიონერული მიზნით ღვთის სიტყვა იქადაგო თანამედროვე ენაზე, ავტორის მიერ კვალიფიცირებულია, როგორც „მარკეტინგული მოთხოვნებისათვის დამორჩილება“, „სეკულარიზაციის პროცესისთვის თანხმობა“, „კულტურული, ინტელექტუალური, სულიერი შეზღუდულობა, საღვთისმეტყველო აზროვნების მოშლა“. ნუ ეწყინება ანას, მაგრამ ამაში ვერ დავეთანხმებით, რადგან თვითონვე წერს, რომ „ბიბლიის თარგმნის საკითხი სულიერი ძვრების ეპოქაში ხდება აქტუალური“, ხოლო ეს ძვრები „შეიძლება ორივე მიმართულების იყოს: სულიერი აღმავლობისა და სულიერი დაკნინებისა“. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ეკლესია დღეს აღმავლობას განიცდის თუ დაკნინებას? ამჯერად გვინდა დავასრულოთ ჩვენი შენიშვნები და კომენტარები. გვინდა ვუსურვოთ ანა ხარანაულს წარმატება დიდ საქმეში, რომელსაც იგი წლების მანძილზე თითქმის მარტო ეწევა და კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა ჩვენს ჟურნალთან თანამშრომლობისათვის.

მოთხმენელთა ჯგუფის სახელით  
პროტოპრესვიტერი ბიორბი

**გმანულ ტიპი**

(წიგნიდან: „აზრალის ბიბლიის ტიპი“)

1947 წლის ყუმრანის გრაფიკების აღმოჩენამდე ბიბლიის ტექსტი ცნობილი იყო მრავალი ებრაული წყაროდან და სხვადასხვა პერიოდების თარგმანებიდან. მათი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია. ამდენად, ჩვენ ბიბლიის ტექსტის წყაროებს გარკვეული იერარქიის დაცვით განვიხილავთ.

XVII საუკუნის დასაწყისში, როცა სამარული ხუთწიგნიანი ევროპისთვის ცნობილი გახდა, მეცნიერებისთვის სამი ძირითადი ტექსტი იქცა მნიშვნელოვანად: მასორეტული (M), სამარული (M) და სეპტუაგინტას ებრაული დედანი (S). სხვა დანარჩენი ტექსტ-წყარო ამ სამი ძირითადი წყაროს გარშემო ჯგუფდება. ტექსტ-წყაროების კვლევა უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ორი ძირითადი კონცეფცია გამოკვეთა. პირველი კონცეფცია ყველა ტექსტ-წყაროს ზემოთ ჩამოთვლილ სამ ძირითად ტექსტთან კავშირში განიხილავს, მეორე კონცეფცია კი ახდენს ამ ტექსტების დეფინიციას. და თუ მათი წარმომადგენლები ტექსტების მთლიანობაზე მაინც ლაპარაკობენ, გულისხმობენ რეცენზიებს. ამ ურთიერთსაპირისპირო კონცეფციამ ბიბლიის ტექსტის ორი მკვლევარის, დე ლაგარდესა და პაულ კალეს პოზიციები გამოკვეთა. პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა ბიბლიის ტექსტების ურთიერთმართების შესახებ გააკეთა პ. კალემ 1915 წელს. მანამდე არსებული გამოკვლევები არასაკმარისად იყო დამუშავებული. საუკუნის დასაწყისში სამი ძირითადი ტექსტი განიხილებოდა ტერმინ „რეცენზიის“ ქვეშ. და იქვე განავრცობდნენ: „ეგვიპტური რეცენზია“ (სეპტუაგინტას რეკონსტრუირებული ებრაული დედანი), „ბაბილონური რეცენზია“ (მასორეტული) და „სამარული რეცენზია“ (სამარული ხუთწიგნიანი). თუმცა უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არსებობს ტერმინი, რომელიც ტექსტ-წყაროს ზუსტი აღმნიშვნელი იქნება.

მოდელი, რომ ყველა, თუნდაც ახალი აღმოჩენილი ტექსტ-წყარო სამი ძირითადი ტექსტის ირგვლივ ჯგუფდება, მეცნიერებაში უკვე ფეხმოკიდებულია. მასორეტულსა და სამარულს ხელნაწერს შორის 6000 განსხვავება დაფიქსირდა, 1900 თანხვედრა კი არის სამარულსა და სეპტუაგინტას შორის. ამ გამოკვლევამ უამრავი თეორია წარმოშვა, რომლებიც სამარულსა და სეპტუაგინტას შორის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე მსჯელობდნენ. ერთი სეპტუაგინტას განიხილავდნენ, როგორც სამარულიდან თარგმნილს, ხოლო მეორე ფიქრობდნენ, რომ სამარული სეპტუაგინტას მიხედვით რედაქტირებული ტექსტი იყო, ან პირიქით – თითქოს სეპტუაგინტა იყო სამარულის რეცენზია. ასეთი იყო ბიბლიის ტექსტის გადმოტანის ჰიპოთეზების საზღვრები. ეს სამჯერადი გადმოტანის მოდელი თავდაპირველად ხუთწიგნიულზე ვრცელდებოდა, შემდეგ კი ბიბლიის სხვა წიგნებზეც გავრცელდა იმ მეცნიერთა მხრიდან, რომლებიც ლოკალური ტექსტობრივი ოჯახის თეორიის ისტორიას იცავდნენ.

ყუმრანის აღმოჩენებმა არსებითად ვერ შეცვალა ტექსტ-წყაროების ურთიერთმართების ჰიპოთეზები.

ამ აღმოჩენების საფუძველზე გამოიკვეთა თეზა, რომ ყუმრანის გრაფიკები სამ ტექსტობრივ ჯგუფს ეკუთვნის: მასორეტულს, სეპტუაგინტასა და სამარულს. ყუმრანის აღმოჩენების უმრავლესობა მასორეტულს მიემატებოდა, თუმცა სამი ტექსტობრივი ტიპის არსებობის უარყოფა არ შეიძლებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ყუმრანის გრაფიკების ტექსტობრივ მრავალგვარობაზე საუბრობენ, ისინი ემხრობიან მათ სამ ჯგუფად გაერთიანების აზრს. დროთა განმავლობაში დადგინდა, რომ ამ ტექსტების, როგორც რეცენზიების განხილვა შეცდომა იყო.

**ნუხილი მუხე**

ბიბლიის უძველესი ტექსტის (Urtext) პრობლემა ახალია, რადგან მასორეტული ტექსტი საყოველთაო ავტორიტეტად ითვლებოდა. მე-17 საუკუნიდან მოხდა ამ აზრის კრიტიკული გადასინჯვა. დაიწყო მასორეტულის, სეპტუაგინტასა და სხვა ტექსტების შედარება. მეცნიერები შეეცადნენ, რომ მასორეტული ტექსტი სეპტუაგინტადან აღებული დეტალებით გაეუმჯობესებინათ. წლების განმავლობაში ჩნდებოდა თეორიები და იმართებოდა დისკუსიები იმაზე, არსებობდა თუ არა ის ერთადერთი ეგზემპლარი (Urtext), რომლიდანაც წარმოიშვა სხვა დანარჩენი ტექსტები. ეს აზრი მნიშვნელოვანია, რადგან ტექსტები ბევრ განსხვავებას გვიჩვენებს. ვინც ერთადერთი ტექსტის – Urtext-ის არსებობას აღიარებს, მას ცხადია, სურს, რომ აღადგინოს კიდევ იგი ნაწილობრივი ან სრული სახით. სხვები ასეთ რეკონსტრუქციას იშვიათად მიმართავენ ან საერთოდც უარყოფენ. უძველესი ტექსტის სურათი საკმაოდ არაერთგვაროვანია, თანაც მყარი გადაწყვეტილებების მისაღებად სოლიდური ცოდნის აშკარა ნაკლებობაც იგრძნობა. ასე, რომ თითოეულმა თაობამ ეს პირობა თავისთვის გადაწყვიტა, განსაკუთრებით კი დღეს, იუდეის უდაბნოს აღმოჩენის შემდეგ.

**ურთიერთსაპირისპირო** თეორიების არსებობა დაკავშირებულია ორი მეცნიერის – დე ლაგარდესა და პ. კალეს სახელთან. დე ლაგარდემ ერთი უძველესი ტექსტის არსებობას აღიარებდა, კალე კი საპირისპირო აზრზე იყო. სხვა მეცნიერები მათსავით აბსტრაქტულად არ ფიქრობდნენ და კონკრეტულ აღმოჩენებს სწავლობდნენ. თუმცა მათ შეეძლოთ ლაგარდესა და კალეს პოზიციებში სინათლის შეტანა – ძველი განსხვავებული შეხედულებების აღწერა, მით უფრო, რომ ისინი ნათლად არც არის დეფინირებული – მაგრამ რომელ პოზიციასაც არ უნდა ემხრობოდე, ერთი კითხვა მაინც ითხოვს პასუხს: ბიბლიური ტექსტის განვითარების რომელი სტადია უნდა იყოს უძველეს ტექსტთან იდენტიფიცირებული? ბევრი კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ჩვენც იდეალური სიტუაციისაგან შორს ვართ.

**ბიბლიური** წიგნები არც ერთი ავტორის კუთვნილებაა და არც ერთ, რომელიმე განსაზღვრულ დროში შექმნილია. ის თაობების შექმნილია. „ერთადერთ ეგზემპლართან“ ანუ Urtext-თან დაკავშირებულ დისკუსიებში სწორად ხდება აღრევა: ბიბლიის უძველესი ტექსტი გაიგივებულია მასორეტულის უძველეს ტექსტთან, მაგრამ მასორეტული ტექსტი ბიბლიის ტექსტის მხოლოდ ერთ-ერთი წყაროა და მისი უძველესი ფორმის ბიბლიის უძველეს ტექსტად მიჩნევა არ შეიძლება. დისკუსიებში ტექსტ-გენეტიკური და ალტერნატიული ვარიანტების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ტექსტ-წყაროების განსხვავებების მეტი წილი ტექსტის გენეტიკური ანალიზიდან მოდის. ასეთებია: გაცვლა, კლება, მატება, ინვერსია სხვა ვარიანტის გავლენით, მიუხედავად იმისა, არის ის „სხვა“ ჩვენთვის ცნობილი თუ არა და ა. შ.; ამ



მკვლარი ზღვა

ვარიანტებიდან ერთი პირველადი (primär), მეორე – მეორადი (sekundär). მეორე მხრივ, არსებობს ვარიანტები, რომლებიც გენეტიკური წარმომავლობით არ არის განპირობებული, ისინი ადრინდელი ტექსტის დეტალების შეცვლის აუცილებლობიდან არ წარმოშობილა. ეს ალტერნატიული ვარიანტები; ნათქვამი ძირითადად ეხება სინონიმურ ვარიანტებს, ანუ ისეთებს, რომლებიც ერთნაირად ფასდება. ასეთი ალტერნატიული ვარიანტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი უძველესი ტექსტი არასოდეს არსებულა. მაგ.: „უა ნიშნავს „ხელისგულს“, ხოლო უ – ხელს. როცა ისინი სხვადასხვა ადგილზე ერთმანეთის სინონიმად იხმარება, ვამბობთ, რომ ტექსტის დუბლირებასთან გვაქვს საქმე: 2 მეფ. 22,1: אושר וְיָבוֹא כִּי הָיָה אִתּוֹ יְהוָה יִצְחָק בְּיוֹם הַיּוֹם“ „იმ დღეს, როცა უფალმა ის მისი ყველა მტრის ხელიდან (ხელისგული) და საულის ხელიდან (ხელისგული) იხსნა...“ ფს. 18,1: אושר וְיָבוֹא כִּי הָיָה אִתּוֹ יְהוָה יִצְחָק בְּיוֹם הַיּוֹם“ იმ დღეს, როცა უფალმა იხსნა ის მისი ყველა მტრის ხელიდან (ხელისგული) და საულის ხელიდან.




„ნიშნავს ხელისგულს“, ხელნაწერი, ბერლინი, ყუმრანის კოლექცია

**პ. კალე** ავითარებდა ტექსტების პარალელური ფორმირების მოდელს თარგუმის მსგავსად, თუმცა ეს მოდელიც ჰიპოთეზურია და თითოეული წიგნის თავისთავადი, დამოუკიდებელი განვითარების გამო დიდ სირთულეებს ვაწყდებით და ანალოგიის გაკეთებაც პრობლემური ხდება.

**მეცნიერთა** უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ არსებობდა ერთი უძველესი ტექსტი, ე. ი. საუბარია იმ ეგზემპლარზე, რომელიც მზა ლიტერატურულ პროდუქტს შეიცავდა და არსებობდა ტექსტის ისტორიის დასაწყისში.

ლოგოკური საფუძველი აქვს აზრს, რომ ბიბლიის თარგმანები ერთ კონკრეტულ დროში, ყოველ შემთხვევაში, ერთ პერიოდში შეიქმნა. ამ პროცესის შემდეგ იყო წიგნი, რომელსაც ერთიანი სახე ჰქონდა და შემდგომი გადაწერებიც აქედან გამომდინარე გაჩნდა. თუმცა არც ეს ჰიპოთეზა იქნა პირდაპირ მიღებული. საქმე ისაა, რომ



„გამოსლვათას“ გრაფიკი, ყუმრანის IV გამოქვაბულიდან

მცირე თუ დიდი ტექსტობრივი ვარიანტის არსებობა შეიძლება აიხსნას ტექსტის გენეტიკით და ეს ჰიპოთეზაც სხვა მიმართულებას იღებს. თუმცა რამდენიმე პარალელური ტექსტის სასარგებლოდაც ცოტაა მტკიცებები. ერთი ტექსტის არსებობის ჰიპოთეზას მხარს უჭერენ სოციალურ-რელიგიური და ისტორიული არგუმენტები. იუდაიზმის კანონპროექტით მხოლოდ მასორეტულში მოცემული ლიტერატურული კომპონენტია ნორმად მიჩნეული. ამ მიზეზის გამო ისინი აღინდელი თუ გვიანდელი განვითარების სტადიებს არ აღიარებენ. ამ ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტები: ა) ამ ჰიპოთეზის დამტკიცება არ შეიძლება, რადგან ის ისეთ დროს ეხება, რომლის შესახებაც ჩვენ ცოტა რამ ვიცით; რაც შეეხება ალტერნატიულ ჰიპოთეზას, ანუ რამდენიმე ტექსტის პარალელურად არსებობას, ისმის კითხვა: რა მიმართებაში იყო თვითონ ეს ტექსტები ერთმანეთთან? ჩვენ არ უნდა განვიხილოთ ისინი, როგორც ერთი ძველი და მეორე შემდგომი, ანუ მეორადი, არამედ როგორც ორივე ალტერნატიული და ორიგინალური. ერთი ტექსტის ჰიპოთეზას უარყოფენ მეცნიერები ტექსტის მონაცემების გამოც. ამ აზრს რომ ტექსტი ამყარებდეს, მაშინ ყველა საწინააღმდეგო არგუმენტი მოიხსნებოდა. როცა ვარიანტებში არის ორი სინონიმური სიტყვა, ორივე ძველი, მაგ.:  $\text{חַיִּים} // \text{חַיָּה}$  (ქვეყანა, მიწა) და უბრალოდ ერთი მეორეს კი არ ჰგავს, არამედ ორივე დამოუკიდებელია, ეგზეგეტიკის დონეზე ორივე ფასეულია და ორივეს შინაგანი ლოგიკა აქვს, ე. ი. ორივე უძველესად ითვლება.

ტექსტის კვლევისას მეცნიერები აბსტრაქტული განსჯისაგან თავისუფალი არ არიან. ზოგიერთი სხვადასხვა ტექსტს ერთი განვითარების ისტორიად განიხილავს, თუმცა თითოეულ ტექსტს განვითარების თავისი დინამიკა აქვს. მაგ.: დე ლაგარდ ბიბლიის ტექსტებს განიხილავს, როგორც ერთნაირი გზით განვითარებულს, სეპტუაგინტასა და მასორეტულზე დაყრდნობით, ხოლო კალესთის თარგუმის მოდელი არის ყველა სხვა ტექსტის წარმოშობისთვის ვარჯისი. ე. ი. არის თეზა (დე ლაგარდ) და ანტითეზა (კალე), მაგრამ თუ ახლოს გავცნობთ ბიბლიის ტექსტებთან არსებულ მდგომარეობას, ვნახავთ, რომ ასეთი სქემატური წარმოდგენა მხოლოდ და მხოლოდ საკითხის გამარტივებაა. ახლა შევხვით მეცნიერების თეორიულ ანალიზს ბიბლიის ტექსტების კვლევისასთან დაკავშირებით:

1. პირველი ასეთი სამუშაო ბიბლიის ტექსტების განვითარებასთან დაკავშირებით ჩაატარეს აიხპორნმა (1781), ბაუერმა (1795) და როზენმიულერმა (1797). ისინი დაკავებულნი იყვნენ შუა საუკუნეების მასორეტული ხელნაწერებით და არა ბიბლიის ტექსტებით მთლიანობაში. და რადგან ის ხელნაწერები ერთმანეთს დეტალურად ემთხვეოდა, დასკვნეს კიდევ, რომ მათ ერთი საწყისი აქვთ და სეპტუაგინტას რეცენზიებისგან განსხვავდებიან.

2. დე ლაგარდ ამტკიცებდა, რომ ყველა მასორეტულ ხელნაწერს ერთი წყარო აქვს, რომელიც იყო მასორეტულის არქეტიპი. მისი ეს ფორმულირება ახალი არ იყო. დე ლაგარდ იმ აზრისა იყო, რომ პირველწყაროს რეკონსტრუქცია შესაძლებელია მასორეტულისა და სეპტუაგინტას პირველი პირის რეკონსტრუქციით. ეს ჰიპოთეზა მეცნიერებაში დე ლაგარდეს Urtext-ის ჰიპოთეზის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დე ლაგარდ ამას მოკლე ფორმულირებით გამოხატავდა, მოგვიანებით კი მას ბევრი რამ მიეწერა, ისეთიც, რაც სინამდვილეში არ უთქვამს.

3. კალე იკვლევდა ყველა წყაროს ცალ-ცალკე და არა ბიბლიის ტექსტს ერთიანობაში. მისი აზრით, არც ერთი წყარო არ წარმოშობდა ერთბაშად, არამედ თითოეული მრავალჯერადი გადამუშავების შედეგია. მისი აზრით, ეს ტექსტები ტექსტობრივი პლურალიტეტის შედეგად გაჩნდა. კალესვე ეკუთვნის ტერმინი – Vulgär Texte. ანუ, არსებობს კიდევ ჯგუფი ებრაული ხელნაწერებისა, რომლებიც თავისუფლად არის ნათარგმნი.

არსებობს ახალი თეორია, რომლის თანახმადაც ებრაული წყაროები უნდა მოთავსდეს ჯგუფებში, კერძოდ, ეს არის სამი ჯგუფი: ბაბილონის მასორეტული, პალესტინის მასორეტული, ყუმრანის ზოგიერთი ტექსტი და ეგვიპტური სეპტუაგინტას ებრაული დედანი. ამ თეორიის მხარდაჭერები იქიდან ამოდიან, რომ ტექსტებს რევიონების მიხედვით განვითარების სხვადასხვა ხასიათი აქვს. მაგალითად, პალესტინური ჯგუფი ხასიათდება პარამონიზმით (ადა), ეგვიპტური – დაწვრილებულობით, ბაბილონური – კონსერვატიულობით და სისხარტით; ეს ოჯახები წარმოიშვა ქრ.-მდე V-III საუკუნეებში. მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდათ, განსხვავებებიც აქედან მომდინარეობს.

ზოგადად, არ არსებობს თეორია, რომელიც ბიბლიის ტექსტის განვითარებას სრულად აგვისნის, ამიტომ ჩვენც სანახევრო მსჯელობებით ვიფარვლებით. ბიბლიის ტექსტის განვითარების პროცესი ქრ. შემდეგ I ს.-ში დამთავრდა და უკვე აღარ შეინიშნებოდა არსებითი ცვლილებები. ამ დროისთვის ტექსტში დაფიქსირდა სხვადასხვა სოციალურ-რელიგიური ნიშნები, რაც შემდგომში თითქმის აღარ განვითარებულა. ცნობილია ადგილები ბიბლიიდან, რომლებიც უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე წიგნები ჩამოყალიბდებოდა. მაგ.: 10 მცნება (გამ. 34,1), იერემიას ნაკარნახევი და მისი მწერლის (ბარუქის) მიერ ჩაწერილი (იერ. 36,2). გარკვეულ დროს დამთავრდა ლიტერატურული ზრდის საჭიროება. საფიქრებელია, რომ ადრეულ ფაზაში რამდენიმე პარალელური კომპოზიცია იყო, რომელთაგან ჩვენამდე აღარაფერი შემორჩა. გარკვეულ ადგილებში მან საბოლოო სახე მიიღო და დაიწყო გავრცელება. მოგვიანებით გაჩნდა ახალი გადამუშავებული გამოცემა\*, რომლის მიზანი წამყვანი ადგილის მოპოვება იყო. მართალია, ის ჩაითვა ავტორიტეტულად, მაგრამ მაინც ვერ შეძლო წინა ძველი ვარიანტების სრულად განდევნა.

\*იგულისხმება მასორეტული ტექსტი, რედაქტირებული II-IX სს

ძველი ტექსტები შემორჩა გეოგრაფიულ თუ სოციალურ პერიფერიებში. ეს ძველი გამოცემები ჩაუვარდათ ხელში ეგვიპტეში ბერძენ მთარგმნელებს\*\*, ის ასევე შემორჩა ყუმრანის გრაფიკებს.

როგორც ვთქვით, ებრაულ ტექსტებში გამოიყოფა Vulgär ტექსტები. მათში გადაწერები თავისუფლებას ამჟღავნებენ: შეაქვთ ორთოგრაფიული თუ მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებები, აუმჯობესებენ ტექსტს, შეინიშნება კლება-მატებაც. ყუმრანის ტექსტები სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება. ამავე ჯგუფს განეკუთვნება პრესამარული ტექსტები. Vulgär ტექსტები ხალხში იყო გავრცელებული, ხოლო ტექსტები, რომლებიც დიდი სიზუსტითა და კონსერვატიულობით ხასიათდება, ლიტურგიული დანიშნულებისა იყო. აქ შედის პროტომასორეტული ტექსტები, რომელთაგანაც შუა საუკუნეებიდან წამოვიდა მასორეტული ტექსტი. მართალია, ეს ტექსტები უხერხულობად სიზუსტით ხასიათდება, გარკვეულ ცვლილება-კორექტურას მაინც განიცდიან. ტექსტების ეს ტიპიც ეკუთვნის ყუმრანს და ქრ.-მდე III საუკუნით თარიღდება. სეპტუაგინტაც ამ კატეგორიას განეკუთვნება. ორივე ტიპის ტექსტები გავრცელებული იყო პალესტინაში ქრ.-მდე III და ქრ. შემდეგ I საუკუნეებში. რა იყო მანამდე, ჯერჯერობით უცნობია.

აიმაში 75-117 (ქრ. შ.) შედგა სინოდი, იქ, სადაც თავმოყრილი იყო სასამართლო ეზო, აკადემია, სკოლა, ინსტიტუტი, თუმცა აქ გამართულ კრებაზე არსად არაფერია ნათქვამი, მაგრამ მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ სწორედ აქ მოხდა ბიბლიის წიგნების კანონიზაცია. დროთა განმავლობაში ბიბლიის ტექსტი გადაწერათაგან სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებს განიცდიდა. მათი უმრავლესობა მართლაც გადაწერათა შეცდომებია. ამავე დროს ისინი თავს უფლებას აძლევდნენ, შეეცვალათ ტექსტის შინაარსი მცირე მასშტაბებში სიტყვის ფართო გაგების გამო. ცვლილებები შემდეგი სახისაა: 1. ლინგვისტურ-სტილისტური, 2. სინონიმური ვარიანტები, 3. პარამონიზება, 4. ეგზეგეტიკური, 5. დამატება ტექსტზე.

დეფინიციის მიხედვით ტექსტის შინაარსის შეცვლა მეორადია და ტექსტის კრიტიკისათვის საინტერესო არ არის. ხოლო განზრახი ცვლილებები მეტყველებს ძველი პერიოდის ადამიანის მსოფლმხედველობაზე, ადამიანისა, რომელსაც ბიბლიის ცოცხალი ინტერესი ჰქონდა. ამდენად, მწერლები ცდილობდნენ, რომ ტექსტი აქა-იქ, თავისი წარმოდგენების შესაბამისად შეეცვალათ. ძველი ხელნაწერების შესწავლა მოვიტხოვს ებრაული ენის ისტორიას, ძველ ეგზეგეტიკას და იდეების ისტორიას ანუ იმ წინაპირობებს, რომელთა შედეგადც ვითარდებოდა ახალი იდეები, ძველი კი იცვლებოდა. ეს არის ტექსტის ისტორიის დინამიკური ასპექტი. ეგზეგეტიკური ცვლილებები შეიძლება თვით გადაწერათა გაგებიდან და ეგზეგეტიკური ტრადიციიდან მომდინარეობდეს. თუმცა ეს ორივე შესაძლებლობა ერთმანეთს არ გამორიცხავს.

ანტიკოლითიისტური ცვლილებები:

2 სჯ. 32, 8 M. ....ისრაელის ძეების მიხედვით..“  
4 Q 2 სჯ. ....ღვთის ძეების მიხედვით..“ = S = ἀγγέλων Θεῶν (ავკილა)

მოსამს გალობაში ნათქვამია, რომ ყოვლადმადალმა ღმერთმა (יְהוָה) დაადგინა ხალხების საზღვარი ღვთის (יְהוָה)-ის შეილების რაოდენობის მიხედვით. შემდეგ მუხლში წერია,


\*\*ეს სეპტუაგინტას წარმოშობის ავტორისეული ინტერპრეტაციაა.

რომ უფალი (יְהוָה) ისრაელს თავისთვის იღებს (יְהוָה) და ლათის ეპითეტებად შეიძლება არ გავგებულოყო. ქანანის და უგარიის პოლითეისტურ პანთეონთან რომ არ დაეკავშირებინათ, ლათ შეცვალეს ლათ-ით და ტექსტმა სხვა მიმართულება მიიღო: გამოეყოთ პროზა „დადო საზღვარი ისრაელის ძეების რიცხვის მიხედვით.“

სხვა სხვის კონტამინირებული ცვლილებები:

დაბ. 2, 2: M - „მეშვიდე დღეს დაასრულა ღმერთმა“...= B, I  
იი, S, P: „მეექვსე დღეს დაასრულა ღმერთმა...“

„ამაში დღეს დაასრულა“ არ ნიშნავს, რომ ღმერთი მეშვიდე დღესაც მუშაობდა. ზოგი მწერალი და მთარგმნელი ამ ადგილს პრობლემურად თვლიდა და ძველ ტექსტს მარტივი ვარიანტით ასწორებდა (ადა, S, P) ალბათ ერთმანეთთან დამოუკიდებელი. როდესაც რთული და გაუგებარი ადგილები ხდებოდათ, მას ამარტივებდნენ, რათა აზრი უფრო გასაგები ყოფილიყო; შეჭინდათ მასში ლექსიური, გრამატიკული, თუ სტილისტური ცვლილებები. რამდენად სრულია ეს წესი, საკამათია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ წერით შეცდომებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა; უკვე ძველი ხდებოდა იმის გარკვევა, შეიცავდა თუ არა წერით შეცდომას ესა თუ ის ვარიანტი. ყველა წყარო მიუთითებს ამგვარ შეცდომებზე, მაგრამ ისმის კითხვა: როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან? მაგ., იერ. 23, 33: M – „შეგეკითხება შენ ეს ხალხი ან წინასწარმეტყველი ან მღვდელი: რა არის ტვირთი (אֲשָׁמָה) უფლისა? ასე უპასუხე: რა ტვირთი? „(אֲשָׁמָה הֵיא הָאֲשָׁמָה), ხოლო S:  $\text{אֲשָׁמָה עֲשֵׂה תֵן לְהָמָה}$  (თქვენ ხართ ტვირთი) = אֲשָׁמָה הֵיא. ეგზეგეტიკის უმრავლესობა ფიქრობს, რომ აქ მწერლის შეცდომაა და ყველაფერი ასოების გადასმის გამო ხდება. ასეთი გადაწყვეტილებები კვლევისას კრიტიკის გარეშე არ რჩება.



ფსალმუნის ნიგნის ფრაგმენტი, ყუმრანის IV გამოქვაბულიდან

